

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N014/13¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ნათია მაჭარაშვილი (სტუდენტი)

1. საქმის ფაქტები

საჩივრის ავტორმა გააფორმა რწმუნებულება ადვოკატთან. შეთანხმების თანახმად, ადვოკატს საჯარო რეესტრიდან უნდა გამოეთხოვა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ორი დოკუმენტი, შემდეგ სარჩელი უნდა შეეტანა სასამართლოში ან პროკურატურაში შეეტანა საჩივარი დოკუმენტების გაყალბების ფაქტზე. ადვოკატმა არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი სოციალურად დაუცველია და ადვოკატის უმოქმედობის შედეგად შვილებთან ერთად ბინიდან გამოასახლეს. ეთიკის კომისიაში მიმდინარე დისციპლინური წარმოებისას, კლიენტის საჩივრის საპასუხო წერილობით განმარტებაში, ასევე საქმის ზეპირი განხილვისას ადვოკატმა კლიენტი შემდეგი ფრაზით მოიხსენია: „საჩივრის ავტორი არის მატყუარა, ინტრიგანი, უნამუსო ქალი, უწიგნური და ავანტიურისტი.“

2. პროცესუალური ისტორია

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა და მოითხოვა ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ დარღვეული იყო შემდეგი ნორმები: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5(გ); ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.1.

3. სამართლებრივი შეფასება

ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის სტატუსისათვის. ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება, ეთიკის კომისიამ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილი განმარტა, რომ „ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას.“ შესაბამისად, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის დაცვა ასევე სავალდებულოა ადვოკატისათვის სასამართლოს მსგავსი ფუნქციის განმახორციელებელ ორგანოში საქმის წარმოებისას. ეთიკის კომისიამ მიუთითა, რომ ეთიკის კომისიაში მიმდინარე საქმისწარმოებისას პროცესის მონაწილე მხარის შეურაცხყოფა შეიძლება ასევე შეფასდეს, როგორც ეთიკის კომისიის შეურაცხყოფა, ისევე, როგორც სასამართლოში შეუფერებელი ქცევა და მხარის შეურაცხყოფა მიიჩნევა სასამართლოს შეურაცხყოფად და სწორედ ამიტომ იღებს სასამართლო შესაბამის ზომებს წესრიგის დამრღვევი პირის მიმართ.

3. დასკვნა

ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა შელახა პროცესის მონაწილის - კლიენტის უფლებები, რითაც დაარღვია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5(გ) და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.1. ეთიკის კომისიამ ადვოკატის მიმართ

¹ <https://gba.ge/pdf/5c4c50738c086.pdf/5c4c50738c086.pdf>

დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განსაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.